საქართველოს მემარცხენე სოციალ-დემ. სარედ. პარტია.

წელიწადი მესამე

ბრძოლა

მთავარ კომიტეტის ორგანო

გაზეთი „ბრძოლა“ ღირს
თვეში 7.000.000 მან.
ცალკე ნომერი ყველგან 500,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, ხახალის ქუჩა, № 6
ტელეფონი 10—34.

განცხადების ფასი
1 გვ. 20 კაპ. ჩერვონ. ნონპარელი
4 „ 15 „
ხაშგლეულვიარო განცხადება
1 გვ. [illegible] ჩერვონ.
4 „ 1 „

№ 634 პარასკევი, ნოემბრის 30, 1923 წ. უოველდღიური გაზეთი ფასი 500,000

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანეთი უმთავროგოთ

ეს ერთა ხანია ებერტი გაფაციცებით ეძებს გერმანეთისათვის მთავრობას, მაგრამ ვერსად ვერ პოულობს. მისი პირველი გეგმა-შეედგინა საქმიანი კაბინეთი ალბერტის მეთაურობით,—გაზეთების გადმოცემით გაუქმებულია, რადგან ამ გეგმას **ცენტრი** წინააღმდეგობით შეხვდა. გარდა ამისა **დემოკრატებმაც** განაცხადეს, რომ ისინი უარყოფენ ბიურო-კრატიულ მთავრობის შედგენას, ალბერტის დამარცხების შემდეგ, ცენტრი აყენებს წინადადებას, რომ კაბინეთის შედგენა მიენდოს კარდორფს, რომელიც შეუდგა მოლაპარაკებას **ნაციონალისტებთან**. ნაციონალისტებმა კარდორფის კანდიდატურა არ მიიღეს. ამის შემდეგ კარდორფმა სცადა შეედგინა მთავრობა ცენტრის, სახალხო-პარტიის, ბავარიის სახალხო პარტიის, დემოკრატების წარმომადგენლებისაგან, რომელშიაც შეიძლება მონაწილეობა მიეღო სოციალ-დემოკრატებსაც. მაგრამ **სახალხო პარტიამ** უარი განაცხადა და კარდორფმა თავისი მისია ისევ ებერტს დაუთმო შესასრულებლად. უკანასკნელმა თითქმის უკვე შეადგინა კაბინეთი, მაგრამ ამ დროს **მემარჯვენე პარტიებმა** და **ცენტრმა** ენერგიული კომპანია გააჩაღეს ალბერტის წინააღმდეგ. ამის შემდეგ პოლიტიკური ბრძოლის სცენაზე სხვა და სხვა პარტიები სხვა და სხვა კანდიდატებს აყენებენ და მთელი სერია პირებისა ცდილობენ გერმანეთის თეატრში პირველი როლი ითამაშონ.

ამ ბუტაფორის გაგება ჩვენთვის ადვილი იქნება, თუ გავითვალისწინებთ იმ პირობებს, რომელიც არის შექმნილი გერმანეთში. გერმანეთი ფაქტიურად მომწყვდეული არის ორ ცეცხლშუა: ერთის მხრით მას სასტიკ მუხრუჭს უჭერს ჰუანკარეს მთავრობა, რომელსაც სურს გაანადგუროს ფიზიკურათ და ეკონომიურათ გერმანეთი და დაიყვანოს იგი მეორე-მესამე ხარისხოვან სახელმწიფომდე, მეორეს მხრით გერმანეთის შინაური ცხოვრება იმდენათ აწეწილ-დაწეწილია და კლასთა ბრძოლა და პარტიათა შეტაკებანი ისეთს მკაცრს სახეს ღებულობს, რომ ნორმალური ცხოვრების აღდგენა შეუძლებელი ხდება **ებერტის მეთაურობით.**

ომმა და ვერსალის ავზაკურმა ზავმა მოშალა გერმანეთის ეკონომიკის საფუძვლები, დაარღვია მისი სამეურნეო ცხოვრება და წაართვა მას ქვანახშირისა, რკინისა და ფოლადის სამრეწველო რაიონები. ეს 5—6 წელიწადია გერმანეთი შეუწყვეტლივ სამოქალაქო ბრძოლისა და ანარქიის ქაოსში იმყოფება და დღევანდელი კრიზისი და უმთავროობა გამომხატველია სწორეთ იმ მდგომარეობის, რომელსაც განიცდის გერმანეთი ფაქტიურათ.

ხუთი წელია გერმანეთის საქმეებს მართავს ბურჟუაზია სოც.-დემოკრატებთან შეთანხმებით; მაგრამ ამ ხუთი წლის განმავლობაში მხარე აჩქარებულის ნაბიჯით მიექანება ანარქიისა და საბოლოო განადგურებისაკენ. ბურჟუაზიამ ვერ შესძლო შექმნილი მდგომარეობის გამოსწორება და ნორმალური პირობების შექმნა. ეს მის ძალღონეს აღემატება.

სამაგიეროთ ბურჟუაზიისა და მისი პარტიების მთელი ყურადღება მიქცეული არის მუშათა მოძრაობისაკენ. ბურჟუაზია ცდილობს მთელი გადასახადები მშრომელთა ელემენტების კისერზე გადაიტანოს და მათი საშუალებით გაუსწორდეს ანგარიშები საფრანგეთის ბურჟუაზიას. ეს იწვევს პროლეტარიატის ეკონომიური პირობების უფრო გაუარესებას და კრიზისებს. მეორე მხრით, ბურჟუაზიამ სასტიკი ზომებით უპასუხა პროლეტარულ მოძრაობას და განსაკუთრებული სიმკაცრით გამოდის კომპარტიის წინააღმდეგ, რომელიც არის ერთად ერთი ხელმძღვანელი და მეთაური პროლეტარიატის. სექტას განკარგულება კომპარტიის წინააღმდეგ ფაქტიურად გამოხატავს იმ შიშს, რომელსაც განიცდის ბურჟუაზია პროლეტარული მოძრაობის გაძლიერებითა და კომუნისტური პარტიის ორგანიზაციების გამაგრებით.

საქსონიისა და ტურინგიის მუშათა მთავრობის დამხობით, გერმანეთის ბურჟუაზიამ თითქოს გამარჯვებას მიაღწია და დღეს ცდილობს კომპარტია აღმოფხვრას გერმანეთის სინამდვილიდან. ფაქტიურად ეს გარემოება ხელს უწყობს კომპარტიის გაძლიერებას და მისი რიგების გაძლიერებას.

დღეს კომუნისტური ინტერნაციონალის დროშის ქვეშ სდგას გერმანეთში 500—600.000 წევრი და და მას მხარს უჭერს ქალაქისა და სოფლის პროლეტარული ელემენტები. გერმანეთის 15 მილიონიანი პროლეტარიატი უდიდეს ძალას წარმოადგენს პოლიტიკური ძალა-უფლებას დასაპყრობად და მის დასაცავადაც.

გერმანეთის პროლეტარული მოძრაობის დღევანდელი კრიზისი ფაქტიურად გამოხატავს იმ მდგომარეობას, რომელსაც განიცდიდა რუსეთის პროლეტარიატი და მისი ხელმძღვანელი კომპარტია 1917 წლის ივლისის დღეების შემდეგ. ივლისის გამოსვლების დამარცხების შემდეგ რუსეთის კომპარტია იძულებული შეიქმნა, არალეგალური მდგომარეობაში გადასულიყო და ამ გვარი სახით წარმოებინა ხელისუფლების დაპყრობისათვის ბრძოლა, რაც ოქტომბრის ბრწყინვალე გამარჯვებით დაგვირგვინდა. გერმანეთის პროლეტარიატი დღეს ოქტომბრის წინა დღეებში იმყოფება. როგორი სახეც არ უნდა მიიღოს გერმანეთის დღევანდელმა ვითარებამ, როგორი მთავრობაც არ უნდა შესდგეს იქ, ბოლოს და ბოლოს მან ადგილი უნდა დაუთმოს მუშურ-გლეხურ მთავრობას, კომპარტიის გამარჯვებას. სხვა გამოსავალი გზა გერმანეთს არა აქვს.

დღეს მენშევიკი ებერტი გულმოდგინეთ ცდილობს მტკიცე კავშირი გააბას ბურჟუაზიულ პარტიათა შორის და შექმნას ბურჟუაზიული ბლოკის მთავრობა. ხვალ კომპარტია მიითვისებს ამ მისიას და იგი შექმნის თავის მთავრობას ყველა ჩაგრულთა და გაღატაკებულთა კავშირის ნიადაგზე, ანამტკიცებს მტკიცე სახელმწიფოებრივ ურთიერთობას საბჭოთა რესპუბლიკების კავშირთან და ამით შექმნის სოციალისტურ სახელმწიფოების ურყევ ფრონტს. ასეთია ისტორიის ნება და მისი სურვილები.

ფრთელი სპეცეგი

(პროლეტარულ სტუდენტობის კვირეულისათვის)

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში მოთავსებული იყო მოწოდება „პროლეტარულ სტუდენტობის დახმარების ცენტრალური კომისიისა“. მოწოდებაში დახასიათებულია ის აუტანელი მდგომარეობა, რომელშიაც იმყოფება ღარიბი სტუდენტობა, გათვალისწინებულია საშუალგბანი ამ მდგომარეობიდან გამოსვლისა და მიმართვა არის საზოგადოებისადმი დახმარებისათვის.

ეს საკითხი ერთი საჭირბოროტო საკითხია ჩვენი სახელმწიფოსა და მშრომელი ხალხისათვის. უმაღლეს სასწავლებელთა შევსება პროლეტარულ ელემენტებით დიდი ნაბიჯია წინ გადადგმული, მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს მშრომელი ხალხისათვის ფართოდ გახსნას სწავლა განათლებისაკენ. ეს [illegible]ბესი ფენები ეკონომიურად მოკლებული [illegible]ნ საშუალებას ისარგებლონ ამ დიდი მონაპოვ[illegible]თ. ეს ითქმის, როგორც მუშათა ფაკულტეტ[illegible]ე, ისე უღარიბეს სტუდენტებზედ, რომელთაც [illegible]ებულია უნივერსიტეტი.

მეტად დიდია მისწრაფება მშრომელი ხალხის [illegible]ავლისადმი. ხხოლოდ ამ გარემოებით თუ აიხსნ[illegible] ის ძლიერი სწრაფვა უმაღლეს ცოდნის მისაღ[illegible]ად, რომელიც არავითარ დაბრკოლებას არ უშინ[illegible]ება.

ღარიბ სტუდენტთა კადრი მშიერ-მწყურვალეა. იგი თავგანწირულ მოთმინებით იტანს ყოველივეს, მაგრამ მას ასეთ პირობებში დიდხნობით არ ძალუძს დარჩენა. ჩაქრება მისი ენერგია, დაანგადდება მისი სხეული, დაეცემა იგი ფიზიკურად და განადგურდება. ეს კი მეტად დიდი უბედურება იქნებოდა ხალხისა და სახელმწიფოსთვის.

ღარიბ სტუდენტთა საკითხი, არსებითად არის მომავალი, წითელი სპეცების საკითხი. ეს კი ერთი იმ უძნელეს საკითხთაგანია, რომლის გადაუჭრელად დიდი ზიანი მიადგება მუშათა და გლეხთა ბატონობის საქმეს.

ჩვენ გავიმარჯვეთ ბრძოლის ველზედ. თავდადებული, გმირი კომუნარების მამაცობამ თავისი გაიტანა: ეხლაც წითელი არმია უერთგულესი და უმტკიცესი დარაჯია საბჭოთა ხელისუფლების. ასეთი დარაჯი ყავს სამხედრო ფრონტს, მაგრამ ასეთივე დარაჯები არა ყავს სამეურნეო ფრონტს. აქ მუშათა პარტია იძულებული ხდება დიდი კომპრომისები დაუშვას. შეუქმნას პრივილეგიები ბურჟუაზიულ სპეციბისათვის და გამოიყენოს იგი სამეურნეო აღმშენებლობაში.

ცხადია, დღევანდელი სპეციები, რომელთა გული და სული წასულს ეკუთვნის და მომავლის იმედი ამ წასულ დაბრუნებას, ვერ იქნება მაქსიმალური შედეგების მომცემნი სამეურნეო ფრონტზედ. ისინი ფორმალურად ეკიდებიან საქმეს, მხოლოდ პრივილეგიური პირობის გამო ურიგდებიან ძალაუნებურად მშრომელთა სახელმწიფოში მუშაობას. ასეთი სამეურნეო რაზმით სრული გამარჯვება შეუძლებელია. მორიგი საკითხია წითელი სპეციების შექმნა, რომელიც გამოსული იქნება მშრომელთა ოჯახიდან და ემსახურება ამათ ოჯახის კეთილდღეობას. ასეთ ელემენტებს წარმოადგენს ღარიბი სტუდენტობა, რომელნიც დღეს ხვალ წითელი სპეციის როლში გამოვა და შეგნებით, ენერგიით, თავდადებით იმუშაოს სამეურნეო ფრონტზედ კერძოდ და სამოქალაქო ცხოვრების ყოველ დარგში საერთოდ.

მიუდგომელი სინიდისი პატიოსანი მოქალაქისა დაგვეთანხმება, რომ საბჭოთა ხელისუფლება ცდილობს ამ საკითხის მოწესრიგებას, სტუდენტთა მდგომარეობის გაუმჯობესების და მშრომელი ხალხის სკოლებისათვის გზის გახსნას უმაღლესი სკოლისაკენ.

მენშევიკების დროს ჩვენ აჩრდილიც არ გვინახავს იმ რეალური ნაბიჯების, რომელიც დღეს არის ამ მხრივ გადადგმული.

ეს ნაბიჯები საქმეს რასაკვირველია ვერ შველიან. მეტად ღარიბია ჩვენი სახელმწიფოს ჯიბე, მეტად მრავლრიცხოვანია გაჭირვებაში მყოფი სტუდენტობა, რომ ყველას უზრუნველყოფა მოხერხდეს. ისიც კი, რომელნიც სტიპენდიანტთა რიგშია ვერ იკმაყოფილებს ნახევრად საარსებო მინიმუმსაც. თქმა არ უნდა, აქ ვერ შევჩერდებით. დიდი მუშაობა გვმართებს საქმის წინ წაწევისათვის. ყოველგვარი მიზეზების გარეშე უნდა შევძლოთ ღარიბ სტუდენტობის მდგომარეობის გაუმჯობესობაა, ამით უნდა უზრუნველყოთ წითელი სპეციების კადრის შედგენაც

ცენტრალურ კომისიას, რომელსაც დაუსახავს მიზნად ამ მიმართულებით მუშაობა უნდა დავეხმაროთ ყველანი. სახელმწიფოებრივ საზოგადოებრივი დაწესებულებანი. აქ არ უნდა დარჩენ განმარტოვებული. დახმარება უნდა გაიღოს ყოველმა შეგნებულმა და პატიოსანმა მოქალაქემ.

ამ საქმისათვის არ უნდა დავიშუროთ არაფერი. მომჭირნეობა, რომლის შესახებ უკანასკნელ ხანში ხშირად სწერენ გაზეთები, სხვათაშორის უნდა გამოვიყენოთ ამ მიზნისათვისაც. ფუფუნებისა და მდიდრული ცხოვრებისათვის დღეს არ არის დრო არავისათვის. ყოველი ზედმეტი, არა აუცილებლად საჭირო კაპიკი უნდა გავიღოთ სამეურნეო ფრონტზედ და წითელი სპეციების ცდისათვის.

ღირსეულად მნიშვნელოვნად და სერიოზულად უნდა ჩავატაროთ პროლეტარ სტუდენტობის კვირეული.

რა ხდება ევროპაში!

გერმანიის ციტადელი—მენშევიკური პარტია ირღვევა. მისი გავლენა დაეცა, მას ყურს არავინ უგდებს.

გენერ. სექტა მაღლა სწევს დირიჟორის ჯოხს და ყველას ემუქრება. კომუნისტური პარტია დაშლილადაა გამოცხადებული; ის დღეს არალეგალურ მდგომარეობაშია და არალეგალურ ორგანოსა სცემს. სექტის ბრძანებით გამოცხადებულია ფაშისტურ ორგანიზაციების დაშლაც, მაგრამ მეორეს მხრივ იგი კრონ-პრინცს ეპატიჟება.

საფრანგეთი სდუმს; მისთვის ხელსაყრელია გერმანეთში წყალი აიმღვრეს, ვინაიდან შიგ ჰუანკარესათვის თევზის ჭერა იოლია.

როგორია საფრანგეთის დღევანდელი პოლიტიკა? საფრანგეთი დღეს მეზობლებისადმი მტრულ განწყობილებაშია. ის დამთვრალია გამარჯვებით. ჰუანკარეს ნაპალეონის აჩრდილი მოსვენებას არ აძლევს და ევროპაში გაბატონებას ლამობს. თუ დაუჯერებთ კალარი დელამაზერს, რომელიც მომხსენებელი იყო საფრანგეთის პარლამენტში სამხედრო ბიუჯეტის განხილვისას, უნდა ვსთქვათ, რომ საფრანგეთი მთელ თავის სიმდიდრეს ახმარს აპარატს „შეცდომებისა და ბოროტმოქმედებისას“; ეს აპარატი გაბლავთ სამხედრო სამინისტრო.

საფრანგეთში დღეს სახელმწიფო ბიუჯეტის უდიდესი ნაწილი მალიტარიზმის განვითარებას ხმარდება. რასაც ადასტურებს ლიონის მერი ერრიო, რომელიც ამბობს, რომ სამხედრო სამინისტროს მიეცა სამხედრო საქმეთა გასაძლიერებლად რამდენიმე ათეული მილიონი ფრანკი მაშინ, როდესაც საფრანგეთის ყველა უნივერსიტეტებისათვის დიდის ვი-ვაგლახით ერთი მილიონი ფრანკი იქმნა გამეტებულიო.

საფრანგეთს დღეს ყავს შვიდასი ათასი საუკეთესოდ შეიარაღებული ჯარი თოფს ქვეშ, რომლის—თუ ვიტყვით ტირიოს სიტყვით—შენახვა მას არ ძალუძს. მაგრამ ჰუანკარე რას დაგიდევთ შეუძლიან თუ არა საფრანგეთს ასეთი სამხედრო ძალების შენახვა. საფრანგეთის საღაროს თუ აღემატება ასეთი ფლანგვა ფინანსებისა მილიტარიზმის განვითარებისათვის, განა დასუსტებული, უიარაღო გერმანეთის ხარჯზედ არ შეიძლება ნავარდი? მას ყელში ხელს წაუჭერს და საფრანგეთში მილიტარიზმს კიდევ მეტად გააძლიერებს.

ჰუანკარეს რევოლიუციის დიდი შიში აქვს რევოლიუციონური წითელი დროშის ლანდი მას მოსვენებას უკარგავს და ცდილობს საფრანგეთის მშრომელი ხალხის ყურადღება საგარეო პოლიტიკაზე გადაიტანოს, მაგრამ აქ იგი კისერს მოიტეხს და ერთხელაც ევროპის მუშათა კლასი თავის მსახვრალ ხელს დაადებს ჰუანკარეს გაუმაძღარ მადას. პირველი მერცხალი უკვე აჭიკჭიკდა.

დეპეშები გვამცნობს, რომ რურის ოლქში საფრანგეთის ჯარების ორი პოლკი აჯანყდა და აჯანყებულები საფრანგეთში გადაყვანესო, ვიცით ერთი მერცხალი გაზაფხულს ვერ მოიყვანს, მაგრამ ისიც ვიცით, რომ პირველს მეორე მოსდევს, მეორეს მესამე და გაზაფხულის მზე თავის სხივებს მოფენს მიწამოს.

ამავე დროს დღემდე ლოიალურად განწყობილი იტალეთი თვალისწინებს რა პერსპექტივებს საფრანგეთის გაძლიერებით ევროპაში, ჰუანკარეს საფრანგეთის წინააღმდეგ ესპანეთთან კავშირს კრავს.

ბურჟუაზიული საფრანგეთი უკმაყოფილო სახელმწიფოთა—ოკალშია მოქცეული ევროპის კონტინენტი თოფის წამლის სუნითაა გაჟღენთილი და ახლო მომავალ გვიჩვენებს ბურჟუაზიული ევროპის ნაცარტუტად ქცევას.

რას შვრება ამ დროს მი-2 ინტერნაციონალი, რომელიც უნდა იყოს ლახვარის ჩამცემი რურის მოძალადეების და მასთან ერთად ევროპის ბურჟუაზიისა? მეორე ინტერნაციონალი მოლალატეობას იჩენს ევროპის მუშათა კლასისადმი.

მან მუხანათურად ღალატა როგორც ევროპის, ისე კერძოდ გერმანეთის პროლეტარიატს. ამ საქმეში პირველობა გერმანეთის უძლიერეს პარტიას—მენშევიკებს ეკუთვნით.

ევროპაში დღეს ერთად-ერთი პარტია—კომპარტიაა რომელიც რევოლიუციის ორიენტაციით გამოდის.

ის არალეგალურად იქმნა გამოცხადებული გერმანეთის „სოციალისტების“ - მენშევიკების ლოცვა-კურთხევით.

როგორც სჩანს სოციალურ რევოლიუციას მეორე ინტერნაციონალის ხელში დარი ვედ დაუდგება.

ამისათვის გერმანეთის და სრულიად ევროპის მუშათა კლასი ერთხელ და სამუდამოდ უნდა დასდგეს კომინტერნის დროშის ქვეშ და გაერთიანებული მტკიცე ფრონტით აწარმოოს შეტევა ევროპის განსათავისუფლებლად კაპიტალის ბატონობისაგან.

ი. გოგორიშვილი.

ბაღიო-ღვარცალი

(„ზაკროსტას“ ცნობები 29 ნოემბრიდან)

— ანბერტის ცდამ, შეადგინა მთავრობა, უნაყოფოდ ჩაიარა

— მთავრობის შედგენა დაევალა შტეგერვალდს, რომელსაც წინადადება ჯერ არ მიუღია.

— ქ ლიუტსგარტენში მოხდა დიდი კომუნისტური დემონსტრაცია.

— გერმანეთის გაზეთებს პრეზიდენტის კრიზისიც კი შესაძლებლად მიაჩნიათ

— ტიურინგიაში აპატიმრებენ კომუნისტებს.

— საკონტრიბუციო კომისიის სხდომა გადაიდო.

— საკონტრიბუციო კომისიაში თავი იჩინა კონფლიქტმა

— აახენაა და დიუსელდორფში ფრანგებმა რეკვიზიცია უყვეს 125,00„ მილიარდ მარკას.

— გერმანეთში გრძელდება კომუნისტების დევნა.

— გერმანეთის სოც.-დემ. პარტიაში უთანხმოებაა მემარჯვენე და მემარცხენე ფრთებს შორის.

კომპარტიასთან შეთანხმებაზედ სოც.-დემ. უარი სთქა

— ამერიკა დახმარებას აღმოუჩენს გერმანეთს.

— ინგლისში მომავალ არჩევნებისათვის ლიბერალებმა და კონსერვატორებმა შეჰკრეს ბლოკი.

— ასკვ ტი მოითხოვს რუსეთისა, გერმანეთისა და ამერიკის მონაწილეობას ერთა ლიგაში.

— რუმინეთის პოლიციამ ახალგაზრდათა კომკავშირი დაშლილად გამოაცხადა

— ინგლის-პოლონეთის შორის დაიდვა სავაჭრო ხელშეკრულება.

— საბერძნეთში რესპუბლიკანურმა პარტიამ თავის რეზოლიუციაში მოხარჭისტული რეჟიმი გაუქმებულად გამოაცხადა.

— მცირე ანტანტის კონფერენციაზედ დაისმება რუსეთთან ურთიერთობის აღდგენის საკითხი

— ბოლგარეთში სცდილოპენ ყვითელი პროფკავშირების დაარსებას.

— მოკლე ხანშე მოსალოდნელია შეთანხმება ტანჯერის საკითხში.

— საბჭოთა მთავრობამ საფრანგეთს შეუკვეთა მეტრიულ სისტემის შემოსაღებად საჭირო იარაღები.

გერმ`ნეთის ამბები

მთავრობის კრიზისი.

მთავრობის კრიზისი ჯერაც არ არის გადაწყვეტილი, ალბერტის ცდა უნაყოფობის შემდეგ, ყველაზედ მეტი შანსები ახალი მთავრობის შესადგენად აქვს იარრეს და ცენტრის მარჯვენა ფრთის ბელადს შტეგერვალდს. უფრო შესაძლებელია, შესდგეს ბურჟუაზიული ბლოკის მთავრობა, რომელშიაც ნაციონალისტები მიიღებენ ერთს ან ორ ადგილს. დემოკრატებს არ მიუციათ თანხმობა ახალ მთავრობაში მონაწილეობაზედ, რადგანაც ეშინიანთ, რომ მთავრობის ბლოკი მეტად მემარჯვენე იქნება. სამაგიეროდ ბურჟუაზიულ ბლოკის მთავრობას შეუძლიან იმედი ჰქონდეს დემოკრატების ნეიტრალიტეტისა; ამ შემთხვევაში კი დემოკრატების 30 ხმას მაშინ, როდესაც ბურჟუაზიულ პარტიებს აქვთ 230 ხმა და მემარცხენე პარტიებს—190, გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება.

ცენტრი წინააღმდეგია იარრესისა, მისი რეინის პოლიტიკის გამო, და თავის მონაწილეობის პირობად თხოულობს: ვეიმარის კონსტიტუციისა და ვერსალის ხელშეკრულების ცნობას, არა ლეგალურ კავშირებთან ბრძოლას და რეინის ოლქის შენარჩუნებას გერმანეთის კავშირის ფარგლებში. ნაციონალისტები მზად არიან განიხილონ ეს პირობები, თუ გადადგება პრუსიის კოალიციონური მთავრობა და თუ პრუსიის მართვა-გამგეობა გადავა ნაციონალისტების ხელში.

სახალხო პარტიის რეიხსტაგის ფრაქციამ პრუსიის კოალიციის საკითხი საბოლოო გადასაწყვეტად გადასცა თავის ფრაქციას პრუსიის ლანდტაგში.

დემოკრატებმა და ცენტრმა განაცხადეს, რომ პრუსიის კოალიციის მოსპობა მიუღებელია, ნაციონალისტების ფრაქციას რეიხსტაგში ჯერ არ წარუდგენია საბოლოო გადაწყვეტილება. მემარცხენე ფრთის მეთაურნი გერგტი და გელფერიხი მზად არიან უკან წაიღონ ეს მოთხოვნილებანი, რათა გადვილონ ბურჟუაზიული ბლოკის მთავრობის შედგენა. მემარჯვენე ფრთაკი, ვესტარპისა და შულცის მეთაურობით, დათმობის წინააღმდეგია.

— ებერტმა მიიღო ცენტრის პარტიის მემარჯვენე ფრთის ლიდერი შტეგერვალდი და მიანდო მას მთავრობის შედგენა. შტეგერვალდს ჯერ არ უკისრნია დავალება და მოითხოვა დრო მოფიქრებისათვის.

კომუნისტების მასიური დემონსტრაცია.

მიუხედავად პოლიციის მიერ მიღებულ ზომებისა, 27 ნოემბერს, ლიუსტგერტენში მაინც შესდგა ბერლინის მუშებს მასიური დემონსტრაცია, კომპარტიის დევნისა და სამხედრო დიქტატურის საპროტესტოდ. დემონსტრაციაში მონაწილეობას იღებდა 20.000 კაცი. ჯარებით გარშემორტყმულმა უმუშევართა რიგებმა ვერ შესძლეს ქალაქის ცენტრში გასვლა. ლიუსტგარტენში გამოვიდნენ კომუნისტების ორატორები. პოლიციამ 20-ჯერ ესროლა დემონსტრანტებს, დაჭრილთა რიცხვი ჯერ გამოურკვეველია. ლიუსტგარტენიდან მთავრობის ბინისაკენ და უნტერდენლინდენის ქუჩით გამგზავრებულ მუშათა რიგებს გარს შემოერტყა პოლიცია. მოახდინეს დემონსტრანტების მასიური დაპატიმრება.

— კომუნისტურ დემონსტრაციის გამო 28 ნოემბერს დააპატიმრეს 77 კომუნისტი, მათ რიცხვში პრუსიის ლანდტაგის დეპუტატი ქალი როზა ვოლფშტეინიც.

— დამატებითი ცნობებით, დემონსტრაციაში მონაწილეთა რიცხვი 60 000 კაცს აღწევდა. დემონსტრანტებს, როსშტრასეს ქუჩაზედ გავლის დროს, შეტაკება მოუხდათ პოლიციასთან, რომლის დროსაც დაიჭრა 3 პოლიციელი. კომსომოლის მიერ რეიხსტაგის შენობის წინ მოწყობილი მიტინგის დამთავრების შემდეგ, ახალგაზრდა კომკავშირის რიგები შეეცადნენ შესულიყვნენ რეიხსტაგში ბრანდენბურგის კარით, მაგრამ უკუგდებულ იქმნენ პოლიციის მიერ ლეიპციგის ქუჩაზედ დემონსტრანტები გაფანტა პოლიციამ. ბრაიტენშტრასსეზედ მუშებმა გააშენეს ბარაკადები, რომლის წინააღმდეგ გაგზავნილი იყო ჯავშნიანი ავტომობილები. ბევრ ადგილას ცხენოსანი პოლიცია ხალხს მათრახებით ერეკებოდა. ქალაქის ქუჩებზედ ჯავშნიანი ავტომობილები დადის. მიუხედავად ფაშისტთა პროვოკაციისა, დემონსტრაციის დროს არც ერთი სავაჭრო არ ყოფილა დარბეული.

რეიხსტაგის დათხოვნის შესაძლებლობა.

პარიზი. გერმანეთის გაზეთები სხვა და სხვა მოსაზრებას გამოსთქვამენ კრიზისის გადაწყვეტის შესაძლებლობის შესახებ და იქამდისინაც კი ნიდიან, რომ რეიხსტაგის დათხოვნასა და პრეზიდენტი კრიზისსაც კი შესაძლებლად სცნობენ.

ამერიკის მუშათა ფედერაციის დახმარება.

ამერიკის მუშათა ფედერაცია მოუწოდებს თავის 3 მილიონ წევრს, ხელი მოაწერონ გერმანეთის მუშების დამხმარე ფონდზედ.

კომუნისტების დაპატიმრება.

ტიურინგიის ქალაქებში დააპატიმრეს მნიშვნელოვანი რიცხვი კომუნისტ-ლიდერებისა და აგიტატორებისა.

საქსონიის ევაკუაცია.

„ფორვერტსის“ ცნობით, 27 ნოემბერს დაიწყება რეიხსვერის დამატებითი ნაწილების ევაკუაცია საქსონიიდან. ევაკუაცია უნდა დამთავრდეს 28 ნოემბრის საღამოს.

პრუსიის ლანტდაგი

28 ნოემბერს განახლდა პრუსიის ლანდტაგის სხდომები.

ჰუნგრეთის დახმარება

ჰუნგრეთი ფართე დახმარებას გერმანეთის მცხოვრებთათვის.

საკანტროლო კომისიის გარშემო

ლონდონის გაზეთ „დეილი მეილს“ აუწყებს ბერლინის კორესპონდენტი, რომ გერმანეთის მთავრობა სცდილობს წინააღმდეგობა გაუწიოს მოკავშირეების სამხედრო საკანტროლო კომისიას. მთავრობამ განაცხადა, რომ ასეთ არ შეეძლიან გადახდეს 50 პროც. მომატება კომისიის წევრებისათვის, რომელიც დაადგინა ელჩთა კონფერენციამ.

საკონტრიბუციო კომისიის სხდომის გადადება.

საკონტრიბუციო კომისიის სხდომა, რომელზედაც უნდა გარჩეულიყო გერმანეთის მემორანდუმი, ბელგიის წინადადებების საპასუხოდ, გადადებულია შემდეგ პარასკევისათვის. ინგლისის დელეგატი, ბრანდბიურო, გაემგზავრა ინგლისს, ახალი ინსტრუქციების მისაღებად.

როგორც იუწყება „მატენი“, კომისიის განზრახული აქვს, შეამციროს თავისი შტატები, რათა ხარჯების ეკონომიამ შეძლება მისცეს მას, განაგრძოს მუშაობა.

კონფლიქტი კომისიაში

პარიზის გაზეთები იუწყებიან, რომ საკონტრიბუციო კომისიაში სერიოზულმა კონფლიქტმა აჩინა თავი, რომელიც გამოწვეულია საფრანგეთის სურვილით, შეინარჩუნოს რურში მოპოებული გარანტიები, ინგლისის დელეგატის ბრანდბიუროს ლონდონში დაბრუნების გამო, იქ მოწვეულია კაბინეთის წევრებისა და ექსპერტების თათბირი, როგორც ოკუპაციის ისე ამას წინად რურის მრეწველებთან დადებულ შეთანხმების მიერ შექმნილ მდგომარეობის განსახილველად.

რეკვიზიცია

ფრანგებმა კვლავ რეკვიზიცია უყვეს აახენსა და ლიუსელდორფში რეიხსბანკის 125,000 მილიარდ მარკას.

კომუნისტების დევნა

ვეიმარში რეიხსვერმა გაჩხრიკა ტიურინგიის კომუნისტი მინისტრის, ნეიბაუერის ბინა. გერში რეკვიზიცია უყვეს კომუნისტურ გამომცემლობას, რუდოლფშტალტში დაიჭირეს პარტიული სალარო, ზონლეხბერგში დაშალეს კომუნისტური კრება, გოტეში ხდება კომუნისტების მასიური ჩხრეკა.

— პრუსიის ლანდტაგში კომუნისტურმა ფრაქციამ შეიტანა ინტერპელიაცია, კომპარტიის აღკრძალვის გამო. ლანდტაგის დეპუტატი კაცი მოითხოვდა ინტერპელიაციის დაუყოვნებლივ განხილვას. პრეზიდენტის მიერ ამ მოთხოვნილების უარისყოფამ დიდი ხმაურობა გამოიწვია კომუნისტ-

პარტიის ახალი ამოცანები

როგორია მდგომარეობა რევოლიუციის 6 წლის თავზე ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასის—იმ კლასის, რომელიც ოქტომბრის საძირკველს შეადგენს?

მაქმე მრავალმხრივ **გაუმჯობესებისაკენ** წავიდა. მუშათა კლასის დარღვევისა და დაქსაქსვის პროცესი, ეჭვს გარეშეა შეწყდა. მუშების შიმდგენლობა ნაკლებ ცვალებადი, უფრო მუდმივი გახდა. ჩვენს მთავარ საძრეწველო ცენტრებში ბრუნდებიან ათასი და ათი ათასი მუშები, რომლებიც რევოლიუციის პირველ წლებში გაფანტნენ სოფლებში, ვის სად შეეძლო, რომ გადაეტანათ ყველაზე მძიმე პერიოდი. ჩვენს ფაბრიკა ქარხნებში კვლავ გამოჩნდა ჩვენი „ხელოსანი“ ნამდვილი მუშა, პროლეტარი მემკვიდრეობით. ჩვენი სამრეწველო მუშების ძირითადი ნაწილი კვლავ იყრის თავს საბჭოთა ფაბრიკა-ქარხნების ჭერ-ქვეშ. ამაში მდგომარეობს ერთ-ერთი წინასწარი პირობა ჩვენი მეურნეობის შემდეგი გაუმჯობესებისათვის. ესევე მოვლენა შლის ჩვენს წინ ახალ ფართე პოლიტიკურ შესაძლებლობებს.

თვითეულს, ვისაც აქვს უხარი თვალყური ადევნოს იმ მოლეკულიარულ პროცესებს, რომელთაც ადგილი აქვთ კლასის შიგნით, თვალში ხვდება შემდეგი მდგომარეობა, **საშუალო, უპარტიო მუშის კულტურული დონე ამ წლების განმავლობაში საგრძნობათ გაიზარდა.** ზოგჯერ გეგონება, რომ ექვსმა წელმა, რომელმაც განვლო ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ, გაიარა, როგორც ერთმა წუთმა. სინამდვილეში კი, ამ ექვსი წლის განმავლობაში უკვე მოიწიფდა მუშა-ახალგაზრდობის მთელი ახალი თაობა და საგრძობლათ განვითარდა საშუალო მუშა.

იყო დრო (1919—20—21 წელი), როცა ჩვენს ფაბრიკა-ქარხნებში რჩებოდენ უფრო ხანში შესული მუშები და მუშა-ქალები. პროლეტარიატის საუკეთესო ნაწილი ფრონტებზე იყო ან გაფანტული იყო რუსეთის ყველა კუთხეებში. მუშები, რომლებიც ახლა ბრუნდებიან ფაბრიკა-ქარხნებში, მოდიან არა ისეთები, როგორნიც წავიდენ. თვითეულმა ამ ექვსი წლის განმავლობაში იმდენი გახიცადა, რაც ზოგჯერ მთელ თაობას არ განუცდია. რუსეთის ყველა კუთხეებში—არმიაში, სოფელში, სასურსათო რაზმებში—გაფანტული მუშები ეჩვეოდენ იმ ამბების გაგებას, რომლებიც მათ გარშემო ხდებოდა რევოლიუციას არ მოეპოვებოდა საკმაო მატერიალური რესურსები, რომ ერთბაშად გაეუმჯობესებია მთელი მრავალმილიონიანი მუშათა მასის მდგომარეობა. მაგრამ **კულტურულ**ად მან მუშათა კლასი მაინც აიყვანა მანამდი მიუღწეველ დონეზე.

მუშათა ცხოვრების ყველა დაკვირვებული მეთვალყურენი აღნიშნავენ, მაგალითად შემდეგ ფაქტებს. მუშათა უპარტიო კონფერენციებზე ახლა, იმისგან განსხვავებით, რაც იყო წინა წლებში, თვითეულ საკითხის გამო გამოდის რამდენიმე ათეული ორატორი. პროფკავშირების საგუბერნიო ყრილობაზე, საბჭოების სამაზრო ყრილობებზე და სხვაგან, სულ სხვა სულიერი განწყობილება სუფევს, ვიდრე წინა წლებში იყო: უფრო მეტი აქტივობა და შეგნება, უპარტიო ორატორების უფრო მეტი რიცხვი და სხვ. ამავე დროს ლაპარაკობენ არა საკუთარი გაჭირვების და საჭიროების შესახებ, არამედ **საერთო** საკითხებზე.

მუშათა მასების კულტურული დონე ამაღლდა. აქედან, როგორც აქსიომიდან უნდა გამომდინარეობდეს ჩვენი მსჯელობა. პარტიის ახალი ამოცანები დასმება სწორათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ მხედველობიდან არ გაუშვებთ ამ ძირითად ფაქტს.

ჩვენი მუშათა წრეების რიცხვობრივი შემადგენლობა, უკანასკნელ თვეებში, ეჭვს გარეშეა, იზრდება. პეტროგრადსა და მოსკოვში მუშათა უჯრედები ერთი ორათ გაიზარდენ. თუ, ჯერ კიდევ სულ მოკლე ხნის წინათ ფაბრიკა-ქარხნების ჩვენს უჯრედებში შემოდიოდენ ისეთი მუშები, რომლებიც მცირე ხელფასს იღებდენ, უკანასკნელ ხანებში შეიძოდიან აგრეთვე უფრო კვალიფიციური მუშები. ქვემოთ მოყვანილი ცხრილი ერთგვარ წარმოდგენას იძლევა ჩვენი უჯრედების რაოდენობითი შეფარდების შესახებ რესპუბლიკის ზოგიერთ მსხვილი წარმოებების მუშების რიცხვთან.

წარმოების სახელწოდება	მუშების რიცხვი	წევრებ. და კანდიდატ. რიცხვი
1. გუჟონ მოსკოვი	(2590	78
2. 4. სიტინი	(6200	105
3. სერპ. საქს. სართ. ფ-კა.	5500	40
4. ბალტ. გემ. სააღმ. ქარხ.	(3250	174
5. ობუხოვის ქარხანა	(3600	129
6. წითელი პუტილოველი. პეტროგრ.	(5200	148
7. ნევის საფეიქრო ფაბრიკა	1800	64
8. ოკულოვის ფ-კა, ნოვგოროდი	2500	32
9. ლისვენის ქარხ. პერმ.	3000	140
10. ზლატოუსტის ქარხ. ჩელიაბინსკი	4250	66
11. „ „ ეკატერინბ.	3312	26
12. რესპუბლიკის მ-რა, სეკ.-დვინსკ	2000	27
13. დონის სახ. თამბ. ფ-კა როსტოვი	2500	80
14 კრასფინის მირა, სეკ. დვინსკ	2080	27
15. „კაბასტუს“, სემიპალტინკი	1500	25
16 გარტმანის ქარხ., ლუგანსკი	3300	148
17. ალმაზოვის მაღარო, დონი	2000	158
18. მარტისა და ბადინას სახ. გემების საალმშენებლო ქარხანა ნიკოლაევი	2800	93
19. ნოხების ფ-კა „აბულმან“ ვლადიმირი	2761	50
20. შაქრის ქარხ. კიევის გუბ.	5000	137
21. გილზების სახ. ბი ტულა (პატრონების ქარხ.)	1479	14

რასაკვირველია, ჩვენი უჯრედები რიცხვით შემადგენლობის მხრივ ჯერ არ არიან საკმაოთ ძლიერნი. მაგრამ ეს ნახევარი უბედურება იქნებოდა. ყველა მნიშვნელოვანი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ გავაუმჯობესოთ მათი შემადგენლობა **ხარისხის მხრივ.**

ხშირია შეძთხვევები, როცა ამა თუ იმ ქარხანაში მოიძებნება ორჯერ მეტი რიცხვი უპარტიო მუშების, რომლებიც თავისი კულტურული დონით სდგანან არა დაბლა, ზოგჯერ კი უფრო მაღლა ვიდრე ჩვენი უჯრედის წევრები ამ ქარხანაში. თვით პეტროგრადის ქარხნების მიმართაც მთელ რიგ შემთხვევებში ეს დამტკიცებულათ შეიძლება ჩაითვალოს. რომ ავიღოთ, მაგალითად, პუტილოვის ქარხანა, 5000 ზე მეტ მუშისგან ჩვენ გვაქვს 200 კაკისაგან შემდგარი უჯრედი. მიგრამ პუტილოვის ქარხანაში, იქ მომუშავე ამხანაგების დაკვირვებით, მოიძებნება არა ნაკლებ 400 უპარტიო მუშისა, რომლებიც კულტურულად დგანან არა დაბლა, ზოგჯერ კი უფრო მაღლა, ვიდრე ჩვენი უჯრედის უბრალო წევრები. ერთი-ორი წლის წინათ ეს ასე არ იყო, რადგან ქარხანაში უმთავრესად დარჩენ მოხუცები და ქალები, იმ დროს, როცა პუტილოვის ქარხნის ძველი მუშების საუკეთესო ნაწილი გაფანტული იყო მთელ სახელმწიფოში ახლა კი ეს ასეა.

რასაკვირველია, ჩვენი კომუჯრედების უბრალო წევრები ყოველთვის უპარტიო მასაზე უფრო ძალლა დგანან მრავალმხრივ უკვე იმიტომ, რომ ჩვენი უჯრედების წევრები, უპარტიოებისაგან განსხვავებით, შეკავშირებულათ მოქმედობენ. წმინდა პოლიტიკურ სფეროში ჩვენი უჯრედების წევრები თითქმის ყოველთვის უპარტიო მასაზე მაღლა დგანან. მაგრამ როცა საქმე მიდგება სამეურნეო ყოფაცხოვრების, კულტურულ, ყოველდღიურ საკითხებზე, მაშინ ხშირათ წინააღმდეგ მოვლენას ვხედავთ. ერთი თვალსაჩინო სამეურნეო მუშაკი ამას წინეთ ელაპარაკებოდა:

„როცა მე მივდივარ ჩვენი პარტუჯრედების წევრების კრებებზე თავისი სამეურნეო მუშაობის შესახებ მოხსენების გასაკეთებლად, მაინცა და მაინც როდი ვემზადები. მაშინ კი როცა მე მიხდება მოხსენების გაკეთება ამა თუ იმ ფაბრიკა-ქარხნის დელეგატთა კრებაზე ან უპარტიო რაიონულ კონფერენციაზე, მე დიდი მზადება მჭირდება, რადგან ვიცი, რომ დამისვამენ მთელ რიგ კითხვებს, რომ მე მომიწევს თითეული ციფრის დაცვა, რომ კრიტიკა სერიოზული იქნება და სხვ.“

უპარტიო მუშების ფართე წრეების კულტურული დონეს ამაღლება შეიძლება მოხდეს უდიდესი ძალის წყაროთ ჩვენი პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლებისათვის, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ თავის დროზე გავითვალისწინებთ ამ უაღრესად მნიშვნელოვან მოვლენას და შეესძლებთ მისგან სათანადო საორგანიზაციო დასკვნების გაკეთებას. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს ფაქტი შესაძლოა გახდეს მრავალი გაუგებრობის წყაროთ ჩვენსა და შეუძლია კიდეც, რა რიგ გასაოცარი არ იყოს ეს ერთის შეხედვით, შეგვიქმნას ჩვენ მრავალი სიძნელენი.

კულტურულად მომწიფებულ მუშას სურს—და სრულის უფლებითაც—მიიღოს ახლა უფრო მეტი მონაწილეობა თავისი ქარხნის სამეურნეო მუშაობაში. მეტი გავლენა მოახდინოს პროფკავშირზედ და გამოიყენოს, არა სიტყვით, არამედ საქმით, თავისი უფლებები მუშათა დეპუტატების საბჭოებში.

ჩვენი პ-რტიის მთავარი ამოცანა ახლანდელ ეპოქაში ს`ორედ იმაში მდგომარეობს. რომ სათავეში ჩაუდგეს უპარტიო მუშების ამ მოძრაობას, შეხძლოს მათთან ერთად გამონახოს სერიოზული, საქმიანი გზები მუშების ამ კანონიერის სურვილების დ საკმაყოფილებლად.

ჩვენ მსხვილ წარმოებებში საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტების 80, 90 პროცენტი კომუნისტებისაგან შესდგება. ეს კარგია, მაგრამ კომუნისტების საშუალო პროცენტი საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტებში ყველა პროფკავშირებში ჯერ კიდევ საკმაოთ დიდი არ არის. თვით ისეთ ცენტრში, როგორიც არის პეტროგრადი, კომუნისტების საშუალო პროცენტი ყველა პროფკავშირების ფაბრქარხკომებში 1923 წლის პირველი თებერვლისათვის უდრიდა—18,5, 1923 წლის პირველ სექტემბრისათვის 22,8 პროც. და რომ გამოვყოთ 9 სამრეწველო კავშირი, გამოდის, რომ აქაც კომუნისტების პროცენტი საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტებში უდრის მხოლოდ 32,5 პროც. სხვა მუშათა ცენტრებში ალბათ, შეფარდება ნაკლებ ხელსაყრელია ჩვენი პარტიისათვის.

ის თანდათანობითი წესი, რომლითაც გადიან კომუნისტები არჩევნების დროს ფაბრიკა ქარხნებში ასეთია: 1) მუშათა და ჯარისკაცების დეპუტატების საბჭოებში კომუნისტებს ირჩევენ ადვილათ, 2) საქარხნო საფაბრიკო კომიტეტებში—ძნელათ, 2) პროფრწმუნებულებათ კიდევ უფრო ძნელათ, 4) შემაფასებელ საკონფლიქტო კომისიაში კი კომუნისტების გასვლა კიდევ უფრო ძნელია. რას გვეუბნება? იმას, რომ საერთო პოლიტიკურ ხელძღვანელობას მუშათა მასები სიამოვნებით ანდობენ კომუნისტებს. მაგრამ როცა საქმე მიდგება ორგანიზაციებზი, რომლებზედაც დამოკიდებულია შრომის ხელფასი და მუშების მთელი ყოველდღიური ცხოვრება, მასები უკვე ასეთის სიამოვნებით არ ირჩევენ კომუნისტებს. ამ დარგში კომუნისტებს ქარხნებში ჯერ კიდევ არა აქვთ საკმაო ნდობა.

აქ, ჩვენს ფაბრიკა-ქარხნებში, ბევრი რამ გვაქვს გასაკეთებელი. ჩვენი პარტიული უჯრედები ფაბრიკა-ქარხნებში უნდა გადაეჩვიონ ქარხნის სამეურნეო საკითხების მხოლოდ პარტ-უჯრედში გადაწყვეტას. ჩვენი უჯრედი ქარხანაში უნდა უყურებდეს თავის თავს, როგორც მთელი ქარხნის **მუნისტურ** ფრაქციას. ეს კრება კომუნისტებს, ლებიც არიან ფაბქარხკომების, სადელეგატ ბების და სხვ. ამგვარი ორგანიზაციების წევ პარტუჯრედის ძირითად ამოცანას შეადგენს- **ლიტიკური** მუშაობა პარტიის სასარგებლოდ. საკვირველია, ეკონომიკის ჩამოშორება პოლიტ საგან მექანიკურად შეუძლებელია, ჩვენს პარტ რედს, როგორც პოლიტიკურ ორგანიზაციას, ე გარეშეა, აქვს თავისი პარტიული ინტერესები „ეკ ნომიკის“ დარგშიც. მაგრამ ამ ინტერესების დაც საჭიროა ცოდნით. პირველ ყოვლისა არ უნდა დ ვივიწყოთ, რომ ჩვენ ხხოლოდ **ნაწილი ვართ ქარ-ხნის. დროა ვისწავლოთ ბრძოლა გავლენისათვის მთელ მუშათა მასაში სიხტემატიური შემოქმედებითი მუშაობით საქარგნო-საფაბრიკო ცხოვრების ყველა დარგებში.** დროა ვიგრძნოთ თავი როგორც

ტებში. კომუნისტ-დეპუტატებმა მეიერმა და შულცა შეკითხვა შეიტანეს, ციხემა მოთავსებულ კომუნისტების საკონცენტრაციო ბანაკში გადაყვანის გამო. ბურჟუაზიულ და სოც.-დემოკრატების ხმების უმრავლესობით, ლანტაგშა უარჰყო კომუნისტების ინტერპელიაციები.

გერმანეთის სოც.-დემ. შორის

გერმანეთის სოც.-დემ. პარტიის მემარჯვენე ფრთა ენერგიულ წინააღმდეგობას უწევს მემარცხენე ფრთას. ცენტრალურ კომიტეტის პლენუმმა მოიწონა პარტიის პრეზიდიუმის პოლიტიკა და აღნიშნა, რომ ცეიგნერის განცხადება პარტიის ხელმძღვანელ წრეების დაცემის შესახებ მოკლებულია საფუძველს. ვოლფი სასტიკად აკრიტიკებდა მემარცხენე ფრთას, ბრალს სდებდა მას ცეკას საწინააღმდეგოდ სისტემატიური კამპანიის მოწყობაში, შეჩერდა ლივის ჯგუფის ტაქტიკაზედ, რომელსაც აბრალებდა კომუნისტებთან მთლიანი ფრონტის შექმნის ცდას და ყოველივე თავის განცხადების დასადასტურებლად მიჰმართავდა პოლიციის ცნობებს, ხმების უმრავლესობით მიღებულია რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვს: დაუყონებლივ დაიხუროს ლევის ორგანო, დაგმობილ იქმნეს პარტიის შიგნით არსებული დამოუკიდებელი ოპოზიციონური ორგანიზაციები და რომელიც უფლებას აძლევს ცეკას, მიიღოს შესაფერი ზომები არა ნორმალურ მდგომარეობის— მოსასპობად მიღებულია აგრეთვე რეზოლიუცია ადგილობრივ ლანდტაგების ფრაქციების დაქვემდებარების შესახებ. ეს უკანასკნელი რეზოლიუცია მიმართულია საქსონიის სოც. დემ. წინააღმდეგ, რომელმაც დაჭკმო სოც.-დემ. ფრაქციის მოქმედება ლანდტაგში.

კომპარტიასთან დამოკიდებულების შესახებ მიღებულია რეზოლიუცია: „რადგანაც კომპარტია, მოსკოვის კომინტერნის ბრძანებით, ებრძვის გერმანეთის კონსტიტუციას, ამისათვის გაერთიანებულ სოც.-დემ პარტია წინააღმდეგია კომპარტიასთან შეთანხმებით მრქმედებისა და იმედი აქვს, რომ ადგილობრივი ორგანიზაციებიც შესაფერისად მოიქცევიან“. მემარცხენე ფრთის ლიდერებმა—კრისპინმა და ვენდერმა სასტიკად დაჭმეს გადაწყვეტილებანი, რომლებიც უფრო ამწვავებენ ბრძოლას პარტიის შიგნით, მემარჯვენე ფრთა ყოველ ღონეს ხმარობს ოპოზიციის გამორიცხვისათვის პარტიიდან მემარცხენე ფრთა კი, პირიქით, სცდილობს დარჩეს პარტიაში და შიგნიდან დაიპყროს იგი.

ᲰᲐᲛᲑᲣᲠᲒᲘᲡ ᲐᲯᲐᲜᲧᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲫᲐᲮᲘᲚᲘ.

ჰამბურგის მუშებმა ჰამბურგის აჯანყების დროს დაღუპულთა საპატივცემოდ მოაწყო სამგლოვიარო მანიფესტაცია. საფლავებზედ დააწყეს გვირგვინები. ჰამბურგელი კომუნისტი კელმანი მუშებს მოუწოდებდა არ გაიტეხონ გული და ემზადებოდნენ მომავალ ბრძოლისათვის. მუშებმა თავს იდვეს დაღუპულთა ოჯახების შენახვა.

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ.

მტკიცდება ცნობა, რომ ამერიკის მთავრობას გაზრახვა აქვს, მისცეს გერმანეთს 150 მილ. დოლარის სესხი სურსათით დახმარებისათვის. „იუნაიტედ პრესსის“ ცნობით, გერმანეთი ახლო მომავალში ამერიკას მიჰმართავს თხოვნით, მისცეს მას დიდი კრედიტი სურსათის სასყიდლად. მიუხედავად ოფიციალურად უარისყოფისა, ეტყობა გერმანეთისათვის სესხის მიცემის საკითხი მაინც განხილული ყოფილა. ამერიკის შთავრობა მიესალმება გერმანეთის მიმართვას, რომელიც შეძლებას აძლევს ამერიკას გამოიყენოს თავისი სასოფლო მეურნეობის ზედმეტი პროდუქცია.

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘ

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ლონდონი. მომავალ არჩევნებისათვის მუშათა პარტიამ კომუნისტებთან ერთად წამოაყენა 436 კანდიდატი. შარშანდელ წელს კი წამოყენებული იყო 405. კომუნისტების კანდიდატები ნიუბოლდი და გალახერი უშუალოდ კომპარტიის სახელით გამოდიან მუშათა პარტიის კანდიდატებად.

ლიბერალთა და კონსერვატორთა ცენტრალურმა ორგანიზაციებმა გამოაქვეყნეს ოფიციალური უარისყოფა, ვითომც ამ პარტიებმა ბლოკი შეკრეს მუშათა პარტიის წინააღმდეგ. ნამდვილად კი ეს უარისყოფა არ შეეფერება სინამდვილეს. რადგანაც მაკდონალდიც გამოდის, ამისათვის ლიბერალებმა მოჰხსნეს თავისი კანდიდატურა კონსერვატორთა კანდიდატის სასარგებლოდ, რათა არ დაიქსაქსოს ბურჟუაზიის ხმები. ამავე დროს, „მორნინგ პოსტი“ და „დეილი გერალდი“ იუწყებიან ლიბერალ კონსერვატორთა ბლოკის შესახებ ახალ პარლამენტში, ოფიციალური პრესა კი ამ ორივე პარტიისი ჯერ ჩუმად არიან ამ საკითხის შესახებ.

ᲐᲡᲙᲕᲘᲗᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ.

ლონდონი. ლიბერალების მეთაური ასკვიტი საგაზეთო წერილში აღნიშნავს რუსეთისა, გერმანეთისა და ამერიკის მონაწილეობის საჭიროებას ერთა ლიგაში.

უკანასკნელ საჯარო გამოსვლის დროს ასკვიტმა განაცხადა, რომ რუსეთთან ვაჭრობა უნდა გახდეს ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორთაგანი ინგლისის უმუშევრობასთან ბრძოლაში.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲐ.

რომი. იტალიის მინისტრთა საბჭომ დაადგინა დააწესოს ეროვნულ თავდაცვის უმაღლესი კომისია.

ᲡᲘᲜᲓᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲐ

რომი. მაქსიმალისტებმა უარჰყვეს კომპარტიის წინადადება საერთო სინდიკალური კომიტეტის დაარსების შესახებ და განაცხადეს, რომ ისინი მზად არიან შეთანხმებულ მოქმედებისათვის, მაგრამ არ ჰსურთ საერთო ორგანიზაციები.

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲕᲐᲚᲔᲑᲘ

ნიუ-იორკი. ამერიკის ფინანსთა დეპარტამენტის წარმომადგენლმა განაცხადეს, რომ ამერიკის მთავრობა არ აპირებს მოითხოვს საფრანგეთისა და იტალეთისაგან ამერიკის ვალების გადახდა, რადგანაც ეშინიან ფრანკისა და ლირის კურსის დაცემისა.

ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲓᲐᲨᲚᲐ.

ვენა. რუმინეთის პოლიციამ ბრძანება გასცა ბუქარესტისა და განაციის ახალგაზრდა კომკავშირების დაშლის შესახებ.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

— **საბჭოს არჩევნების დაწყება** საბჭოს არჩევნები ტფილისში დაიწყება 3 დეკემბერს, რაიონებს უკვე მიეცათ საჭირო ინსტრუქციები.

— **წითელ არმიელთა სკოლებისათვის** ქართულ დივიზიასთან არსებული განათლების სექციაწარმოებს ზამთრის სეზონისათვის წითელ-არმიელთა სკოლების პროგრამების დამუშავებას, რომლებიც ამ დღეებში დაიგზავნება ნაწილებში.

— **უზენაეს სასამართლოში.** საქ. შრომის კომისარიატმა, ა. კ. შრომის კომისარიატის მომარ-თვის თანახმად, დაადგინა; აღძრას შუამდგომლობა საქ. ცენტ. აღმას. კომიტეტს [illegible] ნაეს სასამართლოში შრომის კომისარიატის წარმომადგენლად დაინიშნის ამხ. [illegible] მეტ მოადგილედ კი შრ. კომ. შრომევლის ს. ქართველიშვილი.

— **სამხედრო სამობილიზაციო კომისია.** სამხედრო სამობილიზაციო კომისიაში შრომის კომისარიატის წარმომადგენლად დაინიშნა ამხ. ქურდოვანიძე.

— **ქუთაისის შრ. ინსპექტორი.** შრომის კომისარიატმა წინასწარ დაამტკიცა ქუთაისის შრომის ინსპექტორათ ამხ. მეძმარიაშვილი.

— **შრომის დარგის ცენტრ. სტატისტიკური ბიურო.** შრ. სახ. კომისარიატმა დაამტკიცა დაარსებული იქნას შრომის დარგის ცენტრალური სტატისტიკური ბიურო. აღნიშნულ ბიუროს მიზანია დაიძუშავოს შრომის დარგში ყოველ გვარი მასალები და ცნობები.

— **საარჩევნო პუნქტები.** ტფილისის ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დაადგინა საარჩევნო პუნქტები დაარსებული იქნეს განსაკუთრებით წარმოების გაერთიანებით.

— **ტეხნიკურ და კანტორის მოხელეთა გაერთიანება.** ყველა ტეხნიკური და კანტორის მოხელენი ტფილისის კოოპერატივებისა გაერთიანებული არიან ქალაქის მასშტაბით მეორე რაიონის საარჩევნო პუნქტებში.

— **შრომის ბირჟა.** 28 ნოემბერს შრომის ბირჟაზე ახლად ჩაეწერა—22 უმუშევარი, სამუშაოზე გაიგზავნა—40.

— **ელექტრიკების შორის.** საარჩევნო კომისიის დადგენილებით ელექტრიკები ერთდებიან ქალაქის ფარგლებში არჩევნების ჩასატარებლად.

— **შრომის ბირჟის და დამზ. კასის გაერთიანებული არჩევნები.** ცენტრ. საარჩევნო კომისიამ დაადგინა გაერთიანებული იქნეს შრ. ბირჟის და დამზ. კასის მოსამსახურენი ქალაქის მასშტაბით მეოთხე რაიონის საარჩევნო პუნქტებში.

— **მესამე შრომის შემნახველი კასა.** სავალიუტო საფონდო ბირჟასთან არსდება მესამე შრომის შემნახველი სალარო.

— **ავადმყოფი პენსიონერები.** დამზღვევმა კასამ დაადგინა: საავადმყოფოში მოსარჩენ ავადმყოფ პენსიონერებს პენსია მიეცეთ სამკურნალო ფულის გამორიცხვით.

— **გაძლიერებული პენსია თომა ჩუბინიძის ოჯახის წევრებს.** სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატმა დამსახურებული რევოლიუციონერი განსვენებული თომა ჩუბინიძის ოჯახის წევრებს დაუნიშნა გაძლიერებული პენსია.

— **გლეხთა კომიტეტების მოსაწყობათ:** სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატმა შუალედგომლობა აღძრა სამხედრო განათლების, ჯანმრთელობის და მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატების წინაშე საქართველოში გლეხთა კომიტეტების მოსაწყობათ და მათი საურვლ ნიადაგზე დასაყენებლად კომისარიატს აღმოუჩინონ, როგორც იდეური, აგრეთვე ნივთიერი დახმარება.

ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲔᲑᲘ.

— **ქურდობა-** 28 ნოემბერს ჩერქეზიშვილის ქ. № 99-ში მოქ. მარიამ საგანელიძის დუქნიდან მოიპარეს 240 მილ. მან. ბოროტ მომქმედი აღმოჩენილი იქნა და გამოდგა მოქ. აშოტ სატუროვი.

— **ავტო-გარაჟის გაქურდვა.** 27 ნოემბერს ოლღას ქ. № 85-ში გაქურდული იქმნა ავტო-გარაჟი, საიდანაც წაღებულია სხვა და სხვა ნივთები, რომლის ღირებულება ჯერ გამოურკვეველია.

— **ქურდის შეპყრობა.** 27 ნოემბერს შეპყრობილი იქმნა მოქ. ვაზგენ არუთინოვი რომელსაც ბრალი ედებოდა ქურდობაში და რომელსაც აღმოაჩნდა ნაპარავი ნივთები.

— **ბინის გაქურდვა.** 27 ნოემბერს დილის 9 საათზე ბათომის ქ № 8-ში გაქურდული იქმნა მოქ. სარქის კორტოჩევის ბინა, საიდანაც წაღებულია სხვა და სხვა საოჯახო ნივთები ღირებული 2-ნახ. ჩერვონეცად. ეჭვით შეპყრობილია მოქ. კარლ კაუთმანი.

— **მკვლელობა.** 27 ნოემბერს დაახლოებით ღამის 9 საათზე სოფ. წმინდა წყაროში ბოროტმოქმედთა მიერ მოკლული იქმნა ისა მამედ-ოღლი. მიღებულია ზომები ბოროტ-მომქმედთა აღმოსაჩენად..

— **ვალიუტის კურსი.** 29 ნოემბერი.

ჩერვონეცი	180.000	მ.
სტერლინგი ეფექ.	176,000	„
ჩეკი.	173,000	„
დოლარი ეფექ.	38,400	„
ჩეკი.	38,00	„
ოსმალური ლირა	23,000	„
საბჭოთა ფული	13,500	„

ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲜᲘ

დღეს, ნოემბრის 30-ს საღამოს 6 საათზე დანიშნულია მეოთხე რაიკომის მორიგი სხდომა წევრების დასწრება სავალდებულოა.

რაიკომის მდივანი.

ნაწილი ამა თუ იმ წარმოების **მთელი მუშური მოსახლეობის.** დროა შევიგნოთ, რომ უპარტიო მუშები გაეზარდნენ და შეეცადოთ, მათთან ერთად გავიზარდოთ ჩვენც. პარტკოლექტივების „თვითმპყრობელობა“ ადგილობრივ შეიქმნა უკვე გამონაკლისი საერთო კანონიდან. უნდა შეეცადოთ, რომ ასეთი გამონაკლისები სრულიად მოისპოს.

ყველა ამიდან გამომდინარეობს ის, რომ ჩვენი პარტიის უბრალო წევრის კულტურული დონეს სათანადო ამაღლების საკითხი შეიქნა სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი ჩვენი პარტიისათვის. ვინაიდან თუ ჩვენი პარტუჯრედი გაცალებით მაღლა არ სდგას დანარჩენ მასაზე. ის ვერ ასოდეს ვერ შესძლებს ამ მასის ხელმძღვანელობას, და მაშასადამე ვერ შეასრულებს თავის მთავარ დანიშნულებას სწავლის საქმეში პარტიამ საგრძნობ შედეგებს მიაღწია განვლილი წლების განმავლობაში. მაგრამ ყველაფერი ეს სუსტი დასაწყისია, წვეთია ზღვაში. **პარტიის წევრების მთელი მასის პოლიტიკურად აღზრდა, მისი აყვანა იმ სიმაღლეზე, რომელიც შეეფერება მთელი მუშათა მასის ამაღლებულ დონეს,—აი ცენტრალური ამოცანა.**

გაზრდილ უპარტიო მუშებს სურთ უფრო აქტიური მონაწილეობა მიიღონ საწარმოო, პროფესიონალურ და საბჭოთა ცხოვრებაში. ეს არის ძირითადი ფაქტი, რომლიდანაც უნდა ვაკეთებდეთ დასკვნებს. უკან ფაბრიკა-ქარხნებში დაბრუნდენ პოლიტიკურად ჯანსაღი. ძლიერ განვითარებული მუშები. უპარტიობს ყავთ ცალკე ძლიერ გამოჩენილი ფიგურები, რომელთაც შეეძლებიან მხოლოდ ყველაზე უფრო თვალსაჩინო მუშაკები კომუნისტების წრიდან. უნდა მოინახოს ფორმა ჯერ ამ უპარტიო თვალსაჩინო ფიგურების და შემდეგ მუშათა უფრო ფართე წრეების ჩასაბამათ საწარმოო, პროფესიონალურ და შემდეგ პარტიულ ცხოვრებაშიც.

ასე როგორც ყოველთვის, როცა ისმება რომელიმე მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც დაკავშირებულია სულიერ განწყობილებასთან მუშათა კლასის ფართე წრეებში, ისევ და ისევ წინ სდგება საკითხი ჩვენი პროფკავშირის როლის შესახებ. ყველაზე ბუნებრივი, რასაკვირველია, იქნებოდა, რომ პირველ ყოვლისა ჩვენმა პროფკავშირებმა სტუმართმოყვარულათ გაუხსნან კარები უპარტიო მუშების ზემოთ აღნიშნულ ჯგუფებს. ყველაზე ბუნებრივია, რომ ჩვენი პროფკავშირების საშუალებით ხდებოდეს ჩვენი სამეურნეო, საბჭოთა და სხვა აპარატების შევსება ახალი პროლეტარული ძალებით. ეს ამოცანა ჩვენი პროფკავშირების წინაშე პრაქტიკულ ნიადაგზე უნდა დაისვას. ერთხელ კიდევ ყურადღებით უნდა იქნას გადასინჯული ურთიერთობა ერთის მხრივ ფაბქარხკომებისა და პარტუჯრედებს შორის და მეორეს მხრით ფაბქარხკომებსა და პროფკავშირებს შორის. პროფკავშირები ძლიერ მცირე მონაწილეობას იღებენ ჩვენი სამეურნეო ორგანოების მუშაობაში. ნუ დაუწყებთ ძალას დამნაშავეებს, ნუ შეეჩერდებით წარსულზე. რამ ახლო მომავლისათვის პროფკავშირები უფ- ახლო მიუდგენ წარმოებას, ვიდრე ეს იყო დღე- ი ჩვენ შეგვიძლია და უნდა მოვნახოთ შესაფერი ორმა პროფკავშირების ტრესტებზე(). ამ კონ-ტროლს ყოველგვარი მნიშვნელობა დაეკარგებოდა, რომ მან მიიღოს ჩვეულებრივი ბიუროკრატიული კანტროლის ფორმა. მაგრამ ის უაღრესად მნიშვნელოვანი იქნება, თუ დამყარებული იქნება იმ გზრდილ და კულტურულად ამაღლებული მუშების საქმეში ჩაბმაზე, რომლებზედაც ჩვენ ზევით ვლაპარაკობდით.

ჩვენს საკუთარ შინაურ პარტიულ ცხოვრების უკანასკნელ ხარბეში, ეჭვს გარეშეა, ეტყობოდა ზედმეტი მოდუნება, ზოგიერთ ადგილებში კი შეჩერება. რომ ზემოთაღნიშნული ამოცანები ცოტათ თუ ბევრათ დამაკმაყოფილებლად გადაიჭრას, რომ აღმოვჩნდეთ იმ საერთაშორისო მოვლენების სიმაღლეზე, რომლებიც ახლა მთელს ჩვენს ყურადღებას იპყრობენ, **საჭიროა, რომ შინაგანი პარტიული ცხოვრება უფრო ინტენსიური გახდეს. საჭიროა, რომ შინა პარტიულმა დემოკრატიამ, რომლის შესახებაც ჩვენ ამდენს ლაპარაკობდით, უფრო მეტად შეისხას სისხლ-ხორცი.**

ჩვენი მთავარი უბედურება იმაში მდგომარეობს, რომ ყველა მნიშვნელოვანი საკითხები მიდის ქვევით **წინასწარ ზევიდან გადაწყვეტილი. ეს** კვეცავს პარტიის წევრთა მთელი მასის შემოქმედებას, ეს ამცირებს „ძირეული“ პარტუჯრედების თვითმოქმედებას. რასაკვირველია, ეს ჯერ ჯერობით ისევ საკმაოთ საჭიროა. ჩვენი პარტია აგებულია დემოკრატიული **ცენტრალიზმის** პრინციპზე. ასეთი ქვეყნის ხელმძღვანელი, როგორც ჩვენია, კომუნისტური პარტია არ შეიძლება არ იყოს სასტიკი ცენტრალური ორგანიზაცია. მაგრამ ეს ფაქტი თავის მნიშვნელოვან ნაწილში აიხსნება იმით, რომ პარტიის წევრების კულტურულ-პოლიტიკური დონე ძლიერ ჩამორჩა მის ხელმძღვანელ ფენების დონეს, მრავალი ჩვენი საუკეთესო მუშაკები, პარტიის დადგენილებით ეწევიან მხოლოდ სამეურნეო და ადმინისტრატიულ მუშაობას და არა აქვთ, ან თითქმის არა აქვთ საშუალება მონაწილეობა მიიღონ მასიურ პარტიულ მუშაობაში მუშათა ფართე წრეებში. ნაწილი ამხანაგებისა, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ პარტიულ მუშაობას ეწევიან, ხშირად არ დგანან იმ დიდი ახალი მოთხოვნილებების სიმაღლეზე, რომლებსაც აყენებენ მასების გაზრდილი საჭიროებები. პარტიამ მთელი ყურადღება უნდა მიაქციოს ამ ამოცანებს, რომელთაც ახლა განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა.

ჩვენი დასკვნები, დაახლოებით, ასეთია:

1. საჭიროა პარტიის უბრალო წევრების პარტიულათ აღზრდის კიდევ უფრო გაძლიერება, ვინაიდან აუცილებელ წინასწარ პირობას კულტურულად გაზრდილი მუშათა მასების ჩვენს მხარზე გადმოსაბირებლად წარმოადგენს პარტიის უბრალო წევრების უფრო მაღალი კულტურული დონე.

2. საჭიროა ხელი შეუწყოთ უფრო მაღალ საფეხურზე ასულ უპარტიო მუშების სურვილს—მიიღონ აქტიური მონაწილეობა თავისი წარმოების ცხოვრებაში, პროფკავშირების და საბჭოების ცხოვრებაში.

3. საჭიროა, რომ პროფკავშირები უფრო დაუახლოვდენ მრეწველობას, რომელთაგანაც ისინი, მიუხედავათ პარტყრილობების დადგენილებისა, მოწყვეტილი არიან. საჭიროა შეაფერო ორგანიზაციული ფორმის გამომუშავება პროფკავშირების მონაწილეობისათვის ტრესტებზე კანტროლში.

4. საჭიროა ხელახლა დაყენება და გადაჭრა, მუშათა მოძრაობის თანამედროვე ნიადაგზე, საკითხი ურთიერთობის შესახებ ერთის ხრივ საქარხნო საფაბრიკო კომიტეტისა და პარტუჯრედებს შორის და, მეორე ხრივ, საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტებისა და პროფკავშირებს შორის.

5. საჭიროა სისტემაატიური სასტიკი ბრძოლა ცალკე ტრესტების ხელმძღვანელების და საერთოდ მეურნეობის ბოროტმოქმედებებთან, ისე როგორც ყოველგვარ „ფუფუნებასთან“.

6. საჭიროა სისტემატიური მუშაობის დაწყება ჩვენი პარტიის რიგებში იმ უპარტიო მუშების ჭოსაზიდათ, რომლებიც მიისწრაფვიან საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობისაკენ და რომლებიც, რომ ვსთქვათ, ძლიერ ახლო დგანან ჩვენთან სულიერათ.

7. მუშური დემოკრატიის პრინციპების სიწმიდის შესახებ ზედმეტი მაღალი სიტყვების გარეშე საჭიროა შინა პარტიული დემოკრატიის გამოყენება საქმეზე—საჭიროა თავისუფალი დისკუსიის გაძლიერება პარტიაში საერთო პოლიტიკურ, სამეურნეო და სხვა საკითხების გარშემო. განსაკუთრებით საჭიროა ჩვენი პარტიის უბრალო წევრების ყურადღების მიპყრობა საწარმოო ცხოვრების მწვავე საკითხებისადმი.

ამ სტრიქონების ავტორი სავსებით უწევს ანგარიშს იმას, რომ ამ წერილით ეს საკითხები მხოლოდ დასმულია, მაგრამ არ არის გადაჭრილი. ნამდვილ გადაჭრას ეს საკითხები ჰპოვებენ მხოლოდ ჩვენი პარტიის შიგნით აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ. როცა ჯამს გაუკეთებთ ჩვენი პარტიის კოლექტიურ გამოცდილებას, ჩვენ შოვნახავთ იმ პრაქტიკულ ღონისძიებებს, რომლებიც ჩვენ მიზანს მიგვახწევინებენ. და როცა მოვნახავთ მათ, ჩვენ უკეთესად გავასწორებთ იმ სიმახინჯეს, რომელსაც წარმოადგენს „მუშათა ჯგუფის“ ან „მუშათა სიმართლის“ იდეოლოგია.

ამ უკანასკნელთა შესახებ—სხვა დროს.

გ. ზინოვიევი.

„პრავდა“-ს რედაქციისაგან. ათავსებს რა ამხ ზინოვიევის წერილს, რედაქცია სადისკუსიოთ აყენებს ამ წერილში აღძრულ საკითხებს. რედაქცია დაბეჯითებით მოუწოდებს ყველა ამხანაგებს პარტუჯრედებიდან, საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტებიდან და სხვ. მიიღონ მონაწილეობა ამ დისკუსიაში. რედაქცია სიამოვნებით დაუთმობს აგრეთვე ადგილს უპარტიო მუშების წერილებს, შენიშვნებს და სხვა.

სრ. საქართველოს ინვალიდთა არტელეგის წარმოუდგენლეგის კონფერენცია

25 ნოემბერს ტფილისში გაიხსნა საქართველოში არსებულ ინვალიდთა არტელების კონფერენცია. ამგვარი კონფერენცია პირველია საქართველოში და ამიტომ ამ კონფერენციას დიდი ინტერესით მოეკიდა ინვალიდები. კონფერენციას ფრიად საჭირბოროტო საკითხები უნდა მოეგვარებია. 20 წელიწადია რაც რუსეთის სახელმწიფო ომის ბურუსში იყო გახვეული, ხან გარეშე სახელმწიფოებთან, ხან კი შინაური სამოქალაქო ომები. გამუდმებულმა ომებმა აუარებელი მოქალაქენი დაასახიჩრა. ვერც ძველმა რეჟიმმა, ვერც მენშევიკურმა ხელისუფლებამ დასახიჩრებულ მეომართა დაკმაყოფილების საკითხი ვერ დასვა თავის დონეზე და ვერ გადასწყვიტა ის სისწორით.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათანავე საქართველოში დაარსდა სოციალურ-უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატი, რომელმაც დაისახა მიზნათ ომის ინვალიდთა და შრომის უნარ დაკარგულ მოქალაქეთა უზრუნველყოფა.

პირველ ხანებში სახელმწიფოს ეკონომიური მდგომარეობა არ აძლევდა საშუალებას ს. უზრუნველყოფის კომისარიატს სრულიად უზრუნველ ეყო დასახიჩრებული მეომრები. მაგრამ სახელმწიფოს ფინანსიურ გაჯანმრთელების შემდეგ ინვალიდთა მდგომარეობას გაუმჯობესება დაეტყო, მაგრამ სრული უზრუნველყოფა ვერ მოხერხდა. ამიტომ სოც. უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის ინიციატივით დაარსებულ იქნა დასახიჩრებულ ინვალიდთა არტელები. არტელები ისახავენ მიზნად თავიანთ წევრებს ძატერიალურად უზრუნველყოფას და სრულებით შრომის უნარ დაკარგულ მეომრების უზრუნველყოფას.

საქართველოში დღეს-დღეობით 30 არტელი არსებობს. არტელთა რიცხვი თან და თან იზრდება. არტელების ზრდამ გამოიწვია საქართველოში არსებულ არტელებისათვის საერთო გამგეობის მოწყობა. კონფერენციას უნდა გადაეწყვიტა შემდეგი საკითხები: 1. არტელების კოოპერატიულ ნიადაგზე გადასვლა. 2. არტელისათვის ახალი წესდების შემუშავება და დამტკიცება. 3. არტელთა შენაერთის (კავშირის) წესდების შემუშავება და დამტკიცება. 4. კავშირს დამყარება სრ. რუსეთის ინვალიდთა კოოპერატიულ გაერთიანებთან და სხვა. კონფერენცია მისალმებითი სიტყვით გახსნა ინვალიდთა სექციის პ. მდივანმა ამხ. ვ. მუსელიანმა. კონფერენციის თავმჯდომარეთ ერთხმად რჩეულ იქნა სოც.-უზრუნველყოფის კომისარი ამხ. კ. ხომერიკი, მდივნათ ამხ. გარუჩავა. საპატიო თავმჯდომარეთ არჩეულ იყვნენ ამხ. ცხაკაია, მილიუტი, გეგეჭკორი.

ამხ. კ. ხომერიკმა გამოსთქვა აზრი, რომ როგორც სოციალურ უზრუნველყოფის კომისარიატი, ისე საქართველოს მთავრობა არ დაზოგავს არავითარ საშუალებას ომის ინვალიდთა უზრუნველყოფისათვის. ამისათვის საქართველოს მთავრობამ გადასდგა უკვე ნაბიჯები, მიიღო სოც. უზრუნველყოფის კომისარიატის შუამდგომლობა ინვალიდთა არტელების გადასახადებისაგან განთავისუფლების შესახებ და საბოლოდ დასამტკიცებლად გადასცა ამ | კ. კომისართა საბჭოს. ჩვენ ვიმედოვნებთ ა | კ. კომისართა საბჭო დაადასტურებს ამ შუამდგომლობას.

პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა გლეხთა საურთიერთო დამხმარე განყოფილების გამგემ ამხ. ათაბეგოვ-ტუმასმა. მომხსენებელმა ის აზრი გაატარა, რომ აუცილებელი საჭიროა არტელების კოოპერატიზაცია, როგორც ეს რუსეთში მოხდა. მომხსენებელი ფართოთ შეეხო იმ საკითხს, რომ არტელებში დღეს-დღეობით გაცხოველებული მუშაობაა იმიტომ, რომ არტელის წევრებს არ აქვს წართმეული საკუთარი ინიციატივის უფლება, ამას უნდა მიექცეს მთავარი ყურადღება როცა არტელები კოოპერატიულ ნიადაგზე გადავლენ ეს კერძო დაინტერესება და ინიციატივა არ დაიკარგოს.

მოხსენებაში სურვილი იყო გამოთქმული, რომ არტელები კოოპერატიულ ნიადაგზე გადავიდეს, მაგრამ მომხსენებელმა არტელის კოოპერატიულ ნიადაგზე გადასვლის საკითხი ვერ დაასაბუთა როგორც საჭირო იყო. არ იყო მკაფიო ჩამოყალიბებული ის წესი, რომლის მიხედვით უნდა მომხდარიყო არტელების გადახალისება კოოპერატივებად.

ამ საკითხზე გაიმართა კამათი. კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. შ. ლეჟავამ, კანდელაკიამ, ჭუმბურიძემ, სოკოლოვსკიმ და სხვებმა. ამხ. შ. ლეჟავამ დასვა საკითხი და მოითხოვა მომხსენებელს ზანემარტა დელეგატებისათვის, თუ როგორ შეიძლება არტელების კოოპერატიულ საფუძვლებზე გადაყვანა და კერძო ინიციატივისა და დაინტერესების დატოვება.

მომხსენებელმა ის აზრი გაატარა, რომ არტელების კოოპერატიულ საფუძველზე გადაყვანა უნდა მოხდეს თანდათანობით.

კონფერენციამ მიიღო რეზოლიუცია, სადაც აღნიშნულია არტელები გადავიდეს კოოპერატიულ ნიადაგზე თანდათანობით.

მეორე საკითხზე მოხსენება გააკეთა ათაბეგოვ-ტუმანსმა და წარმოუდგინა კონფერენციას ზოგიერთ ცვლილებით რუსეთის არტელების წესდება.

დელეგატების უმრავლესობამ ის აზრი გამოსთქვა, რომ გამოყოფილ იქმნას განსაკუთრებული კომისია, რომელსაც დაევალოს წესდების განხილვა. კომისიაში არჩეულ იქმნა 5 წევრი: შ. ლეჟავა, კანდელაკი, ს. გარუჩავა, მიხ. ახალაძე და მიშენკო.

სხდომა დაიხურა საღამოს 8 საათზე.

ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘ

მხატვარი ვანო ბეგიჯანოვის ხსოვნის აღსანიშნავი საღამო.

კვირას, 25 ნოემბერს, სომეხთა „ჰაიარტუნის“ დარბაზში შესდგა ხალხიდან გამოსული მხატვრის ვანო ბეგიჯანოვის ხსოვნის აღსანიშნავი საღამო, რომელიც მოაწყვეს მისმა პირად ამხანაგ მხატვრებმა და უმთავრესად მხატვარმა გიგო შარმაბჩევმა. საღამო შესდგებოდა ორს განყოფილებისაგან: პირველს განყოფილებაში მოკლე მაგრამ შინაარსიანი სიტყვა სთქვა გიგო შარმაბჩევმა, რომელმაც დამსწრეთ გააცნო ეს იშვიათი ბუნებითი ნიჭით დაჯილდოვებული პიროვნება, რომელსაც არავითარი სპეციალი სწავლა არ მიუღია, თითოს დაიწყო და შეისწავლა გრაფიკული მხატვრობა.

ამ იშვიათი პიროვნების ცხოვრება სავსეა ტრაგიზმით, გაჭირვებით, რომლითაც ის მივიდა სამარის კარამდე, მისი ცხოვრება ანალოგიურია ცოტა განსხვავებით, ქართველ ფიროსმანის ცხოვრება-მხატვრობასთან. იგი დაიბადა ტფილისში 1875 წ. წყაროს უბანში. მამა მისი ყოჭილა ხელმოკლე ხარაზი, რომელსაც წვრილშვილი ყოლია. მათ შორის უმცროსი ვანო იყო, როდესაც იგი 8 წლისა შეიქმნა. იგი მამამ მიაბარა შეგირდათ თავის ძმას, რომელსაც პატარა მეწვრიმლის დუქანი ჰქონდა. აი აქ პატარა ვანომ შეისწავლა ან-ბანი და კითხვა. ძველი დაწერილი ქაღალდებიდან (ასეთ ქაღალდებს ქვეყოად სხვა და სხვა დაწესებულება ჰყიდდა ხოლმე და მოვაჭრენი იძენდნენ „პარკების“ გასაკეთებლად). აი ეს „პარკები“ იყო ვანოსთვის სკოლა.

როდესაც იგი დასურათებულ ჟურნალებიდან აკეთებდა „პარკებს“—მის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, რადგანაც ცნობის მოყვარე ბავშვი შინჯავდა და სტკბებოდა ნახატებით, სურათებით, ალბათ სწორეთ ამ დროს გაეღვიძა მას ხატვის სურვილი და სიყვარული. მართლაც თითონაც დაიწყო ხატვა. დახატა მან სხვათა შორის გოგოლის ლიტერატურული ტიპები, რომელიც ჟურნალში ნახა.

ასე გავიდა რამოდენიმე ხანი და როდესაც ის გახდა 14 წლისა, მისი ბიძის სამეწვრიმლოში მევიდა ერთი ადგილობრივი ინტელიგენტი, რომელმაც შემთხვევით ნახა ამ ბავშვის ნახატები და ყურადღება მიაქცია. მან გაიგო რომ ამ სურათების დამხატავი ეს პატარა ყმაწვილი იყო. ურჩია რომ ბავშვი დიდათ ნიჭიერია და უსათუოდ გაგზავნეთ მხატვრობის შესასწავლად პეტერბურღშიო, ამის გამგონე ვანოს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, მაგრამ იგი ისევე დარჩა ტფილისში, რადგანაც არც ბიძას და მით უმეტეს არც მის მშობლებს ამისი შესაძლებლობა არა ჰქონდათ.

გავიდა წლები. ვანო დავაჟკაცდა და 27 წლისამ ცოლი შეირთო, ოვი კვლავ ამ ხნის განმავლობაში ხატავდა თავისთვის, მორიდებული ყველასაგან, ვანოს ცოლი თურმე გამგები ყოფილა და სკოდნია მხატვრობის ფასი, ამიტომ იგი დაჟინებით ურჩევდა ვანოს, რომ იგი შესულიყო აქვე არსებულს სამხატვრო სკოლაში ხატვის შესასწავლად.

ვანომ გაიგონა ცოლის რჩევა და მართლაც მევიდა სამხატვრო სკოლაში. მან დაჰყო აქ რამოდენიმე ხანს.

იგი ფართო საზოგადოებას მოევლინა 1916 წელს, როდესაც მან პირველად გამოაფინა მხატვარია გამოფენაზედ „დიდების ტაძარში“ თავისი გრაფიკული ნახატები. ამით მან მიიქცია ფართე საზოგადოების და პრესის ყურადღება.

ამასთანავე პირველად დაინახეს თვით სომეხ მხატვრებმა ამ იშვიათი ნიჭის სიძლიერე; შემდეგ 1917 კვლავ მიიღო მონაწილეობა „სომეხ მხატვართა კავშირის“ გამოფენაზედ, ტფილისში, შემდეგ საზღვარ გარეთ, სტამბოლში და ამერიკაში, სადაც მისმა სურათებმა დიდი ყურადღება მიიქცია. მაგრამ არც ამ გამარჯვების შემდეგ გაუმჯობესდა მაინც და მაინც მისი მუდამ გაჭირვებული ცხოვრება, ასე სიდუხჭირეში მიახწია საფლავის კარამდე. 1918 წელს მას მოუხერხეს სომეხ მხატვრებმა სამსახური შოვნა კაფე „უნიონში“ რომელიც ეკუთვნოდა სომეხთა საქველმოქმედო საზოგადოებას, იგი ამ კაფეში მოათავსეს კარის-კაცად („შვეიცარად“) რომელიც მიმსვლელ სტუმრებს კარს უღებდა.

იგი მუდამ ფანქრით ხელში ყველა მიმსვლელ სტუმრებს ხატავდა სხვა და სხვა პოზაში. მას ხშირად ქაღალდი არა ჰქონდა რომ ეხატნა.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ვანო რუსთაველის თეატრში „შიკრიკათ“ შევიდა მაგრამ იგი აქედამ გადაიყვანეს სახელმწიფო პატარა თეატრში, დარაჯათ, სადაც იგი გაცივდა და ფილტვების ანთებით გარდაიცვალა.

როგორც ადამიანი იგი იყო მეტათ მშვიდი, თავმდაბალი, მორიდებულ-მოკრძალებული და პატრონი. მან სიკვდილის შემდეგ დასტოვა სიღარიბეში წვრილი ცოლშვილი, ვანო ბეგიჯანოვის ცხოვრება და შეძოქმედება ეს არის ნიჭიერ ხელოვანის ტანჯვის ზღაპარი!

როგორც ზევითაც მოვიხსენიეთ გ. ბეგიჯანოვის მხატვრობის თემები იყო უმთავრესად „ძველი ტფილისი“, მან თავისი ნახატებით გააცოცხლა მეცხრამეტ საუკ. ტფილისი თავისებური სილამაზით „ძველი ბაყალხანა“ „ყოჩების ჭიდაობა“ „ქორწილი“ „ჰამქრობა“ „დასაფლავება“ „ქეიფი“ და მრავალი სხვა ნახატები, რომელთა ჩამოთვლა აქ შეუძლებელია, განსაკუთრებით საინტერესოა ნახატი „მცხეთობაზეც წამსვლელნი“.

გარდა ამისა მას აქვს თანამედროვე თემები, მაგალ პოლიტიკური შარჟის შინაარსით. „ოჩერედში დგომა“ და სხვა მრავალი.

სომეხ მხატვართა კოლეგიის მის მეგობრებს გადაუწყვეტიათ, რომ მოკლე ხანში გადმოსცენ მისი მონოგრაფია—ალბომი, სადაც მოთავსებული იქნება ვანოს ნახატები. და ამით უკვდავ ჰყონ ეს ღირსეული ადამიანი, ეს იქნება მძრთლაც უძვირფასესი ძეგლი ვანოსთვის, მხოლოდ ამ დღით 25-ს ნოემბერს შუადღისას ვერის, სომეხთა სასაფლაოზედ მის მეგობარ პატივისმცემელთ დადგეა მცირე ძეგლი და გადაიხადეს სამოქალაქო პანაშვიდი.

საღამოთი—კა სომეხთა ხელოვნების სახლში „ჰაიარტუნში“ დარბაზს ამშვენებდა ესტრადაზედ აღმართულ ვანოს ბიუსტი ყვავილებით მორთული.

საღამო გახსნა მხატვარმა გიგო შარბაბჩიანმა, მსიხიობმა, ტერ-გრიგორიანმა წაიკითხა სუნდუკიანის პიესებიდან „პეპო“ დან და ხათაბალა„-დან მონოლოგები. კონსერვატორიის მოწაფემ აბრამიანმა ქართულად იმღერა, აკაკის ლექსი „თავო ჩემო“ და რუსულათ რომანსი „წითელი ვარდი“ მუსიკოსმა ტერ-დავიდოვმა პიანინოზედ დაუკრა „საიათნოვა“ სებური ძველი ტფილისის ჰანგები, კომპოზიტორმა ბარხუდარიანმა შეასრულა საკუთარი ნაწაომოებნი, სიტყვა წარმოსთქვეს მხატვრის შემოქმედებაზედ, მხატ. ლევონიანმა. და „ჰაიარტუნის“ თავმჯდომარემ ხანოიანმა, ყველანა დიდის მწუხარებით აღნიშნავდნენ ამ იშვიათი ადამიანის ასე დაკარგვას. სამწუხაროდ საღამოს საზოგადოება ნაკლებად დაესწრო, რაც მით უფრო საწყენია რომ საღამო მოწყობილი იყო ვ. ბეგიჯანოვის ცოლშვილის სასარგებლოდ.

ვ. ბუთლიაშვილი.

სახელმწიფო ოპერა. დღეს, ნოემბრის 30-ს წარმოდგენილი იქნება პირველად ამ სეზონში ალი (რუსალკა) ოპერა 4 მოქმ. მუსიკა დორგომიჟსკისა, რუსულს ცეკვას შეასრულებს ბალეტი. ბოშების ცეკვას შეასრულებს: ანდრეევა და ლიტვინენკო, ალემის ცეკვას შეასრულებს ბალეტი. ცეკვები დადგმულ იქნება ბალეტმეისტერ დისკოვსკის მიერ დირიჟორობს ო. ბრონი.

რუსთაველის თეატრი. ხუთშაბათს, ნოემბრის 29-ს ქართული წარმოდგენა არ შესდგა. რადგანაც ამ დღით იყო სომხურ ენაზედ საგანგებო საღამო სომხეთის გასაბჭოების 3 წლის შესრულებისა გამო.

თურქული დრამა. დღეს, ნოემბრის 30-ს რუსთაველის თეატრში თურქული აკადემიური დასის მიერ წარმოდგენილი იქნება პირველად ახალი პიესა „ჯადოქარი პერი“ დრამა 5 მოქმ. აბდულრახმან-ბეგ-ახვერდოვის. მეხუთე მოქმედებაში იქნება ბალეტი. რეჟისორობს ა. ტუგანოვი. მზადდება თურქულ ენაზედ „რევიზორი“ გოგოლისა და შილლერის „ყაჩაღები“.

სახალხო სახლი. დღეს, ნოემბრის 30-ს სახალხო სახლის ქართულ დრამის მიერ მეორედ წარმოდგენილი იქნება ლუნაჩარსკის ცნობილი პიესა „მეფის დალაქი“ 6 სურათად მონაწილეობას იღებს დასის საუკეთესო ძალები დადგმა მ. ღვამიჩავასი.

წარმოდგენა უმუშევარ მსახიობთათვის. ახლო მომავალში ყველა კლუბებში გაიმართება წარმოდგენები უმუშევარ მსახიობთა სასარგებლოდ.

მოწაფეთა თეატრი. ამ მოკლე დროში აფართოვებს თავის მუშაობას, ამ თეატრის დასი შემდეგში გამართავს წარმოდგენებს სხვა და სხვა მუშათა რაიონებში მუშათა ცენტრალურის კლუბ ნაძალადევის თეატრში და სხვაგან.

ქართული თეატრის იუბილე. ხუთშაბათს 2-ს რუსთაველის თეატრში [illegible] მოდგენა, ამ დღეს [illegible] გადაკეთებული სასცენოდ შოთა რუსთველის „ვეფხის-ტყაოსანი“. რომლის სამზადისს უკვე შეუდგა რეჟისორთა მთელი შემადგენლობა.

წარმოდგენა პროფკავშირებისთვის. შაბათს, დეკემბრის 1-ს რუსთაველის თეატრში პროფკავშირების წევრთათვის გაიმართება წარმოდგენა დაიდგმება დ. კლდიაშვილის პიესები, „ირინეს ბედნიერება“ 2 მოქ. „უბედურება“ 1 მოქმ. და „დარისპანის გასაჭირი“ კომედია 1 მოქმედებათ. პიესებს დასდგამს რეჟისორი ა. ფაღავა.

ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“ იბეჭდება და დეკემბერში გამოვა ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“ იოსებ იმედაშვილის რედაქტორობით. ჟურნალში მოთავსებულ იქნება ლექსები, წერილები ხელოვნებაზედ, პროზა, ახალი პიესები მხატვრობა, ბიბლიოგრაფია და ქრონიკა.

უფასო კონცერტები წითელ-არმიელებისათვის. სახელმწიფო კონსერვატორიის გამგეობამ დაადგინა ქართულ დივიზიის ყველა ნაწილებში მოაწყოს წითელ-არმიელთათვის უფასო კონცერტები.

მუშა მწერლის გიგო ხეჩუაშვილის იუბილე. ახლო ხანში ტფილისში გაიმართება მუშა-მწერლის გიგო ხეჩუაშვილის იუბილე მისი სამწერლო ასპარეზზე 25 წლის მოღვაწეობის აღსანიშნავად.

„ბარრიკადა“ 1-ლ იანვრიდან გამოვა „ცისფერი უანწელების“ გაზეთი „ბარრიკადა“ ტ. ტაბიძის რედაქტორობით, გაზეთი იქნება დიდი ფორმატისა.

ცირკი. დღეს 30 ნოემბერს გრანდიოზული გალა წარმოდგენა სამი განყოფილებისაგან მრავალფეროვანი საინტერესო პროგრამით მონაწილეობას მიიღებენ საუკეთესო ცირკის მსახიობნი, კლოუნები, მოჯირითენი ჰაერში მფრინავნი და სხვა. დასასრულს შესდგება ახალი კაბარე-შარჟი. „მოსკოვის ტრაქტირი“ ნე-რიდან, ლეო ტანტისა მონაწილეობას იღებს თვით ავტორი.

აკოფ აკოფიანის ლექსთა კრებული. სომხურ ენაზედ გამოვიდა საიუბილეო კრებული, რომელიც მიძღვნილია პროლეტარულ პოეტის აკოფ აკოფიანისადმი კრებულს დართული აქვს ხანოიანის წინასიტყვაობა, ამასთანავე წიგნში მოქცეულია მასალა, რომელიც ახასიათებს მის შემოქმედებას და რევოლიუციონურს მოღვაწეობას, კრებულში მოქცეულია რჩეული ლექსები პოეტისა. წიგნი სუფთად არის გამოცემული.

ახალი რომანი. შალვა დადიანმა დაასრულა რომანი „უბედური რუსი“ რომანი გამოვა ახლო ხანში ცალკე წიგნათ.

ეგნატე ნინოშვილის ნაწერები. იბეჭდება და ახლო ხანში გამოვა ეგ. ნინოშვილის ყველა ნაწერები რამდენიმე ტომად. წიგნები დასურათებული იქნება და დართული ექნება აგრეთვე კრიტიკული წერილები და ავტორის ვრცელი ბიოგრაფია.

ილია ჭავჭავაძისეული მამული. სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირმა შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე, რათა მას ილია ჭავჭავაძისეული მამული იჯარით გადაეცეს.

მსახიობთა იუბილეები. მსახიობთა კავშირმა დაადგინა იუბილე გადაუხადოს მსახიობ ნ. გოცირიძეს 30 წლის სცენაზე მოღვაწეობის აღსანიშნავად, და ტასო აბაშიძეს 25 წლის აღსანიშნავად.

მსახიობი ქალი ჟიხარევი, რომელიც ცხრაას ოც წელს და ოცდა ერთში, ტფილისის სცენაზედ გამოდიოდა კვლავ ტფილისში ბრუნდება მოკლე ხანში.

ახალი ოპერა „დაისი“. ზ. ფალიაშვილის ახალი ოპერა „დაისის“ პირველი წარმოდგენა შესდგება დეკემბრის პირველ ნახევარში. ოპერის რეპეტიციები უკვე დაწყობილია ავტორის ზედამხედველობით, ოპერას დასდგავს რეჟისორი კ. მარჯანიშვილი.

სახალხო სახლი. რუსულ აკადემიური დასის მსახიობნი ამზადებენ პოეტის ვ. კამენსკის ახალს პიესას „შემთხვევის გენიოსი„ ნეგრიტიანულ მელოდრამას, ამ პიესაში პირველად გამოვა მსახიობი ქალი ბაკშინა.

ახალი წიგნი თეატრალურ ხელოვნებაზედ. ახლო ხანში გამოვა წიგნი ამიერ-კავკასიის ხალხთა თეატრალურს ხელოვნების შესახებ. წიგნის ავტორია ლ. ჰ. პასინკოვი. წიგნი გამოვა დონის-როსტოვში.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

ტირაჟი 1000 ნება დართულია ლიტერატურისა და გამომცემლობის მთავარ მართველობის მიერ № 861 სტამბა გაზეთ „ზარია ვოსტოკა“-სი, კოზეინშტეინის ქუჩ. № 4.